საქართველოს პარლამენტის ბიუროს

საკანონმდებლო წინადადება

ქართული დიასპორის დღის საკანონმდებლო აქტის დონეზე განსაზღვრა

ცვლილების სახეობა: უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში ცვლილებების შეტანის შესახებ[1]

კანონის პროექტის დასაბუთება: ქართული დიასპორის[2] დღე ბოლო წლებია ყოველი წლის 27 მაისს აღინიშნება. აღნიშნული დღის დაწესებას საფუძველი ჩაეყარა საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 თებერვლის ბრძანებულებით[3] (საქართველოში 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებისა და „ქართული დიასპორის დღის" დაწესების შესახებ). მხედველობაში არის მისაღები ბოლო წლებში განხორციელებული საკონსტიტუციო ცვლილებების და მის შედეგად საქართველოს პრეზიდენტის შეზღუდული უფლებამოსილებანიც, მათ შორის საქართველოს მთავრობის მიერ განსახორციელებელი აქტივობების განსაზღვრის კუთხით. მართალია დიასპორის დღის აღნიშნვასთან დაკავშირებით ჩანაწერი ასევე გვხვდება საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ შემუშავებული პროგრამის („ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორა") მე-4 მუხლშიც, როგორც პროგრამით განსაზღვრული ერთ-ერთი განსახორციელებლი ღონისძიება[4], თუმცა თანამემამულეთათვის შესაბამისი გზავნილის

---

[1] ასევე იხილეთ საკანონმდებლო წინადადება (№1- 13400/23, 16.10.2023) https://parliament.ge/legislation/27268.

[2] არაოფიციალური მონაცემებით, საზღვარგარეთ საქართველოს მილონ ნახევრამდე მოქალაქე იმყოფება (წყარო: საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს წერილი 01/6063 12/03/2021)

[3] https://matsne.gov.ge/ka/document/view/100030?publication=0 22/07/2007 დადგენილების საფუძვლად, საქართველოს მთავრობის 09/05/2007 N201 განკარგულებით ასევე დაამტკიცა ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილ 25-28 მაისის ღონისძიებათა პროგრამა (იძებნება მხოლოდ მთავრობის ადმინისტრაციის ვებ გვერდზე: https://www.gov.ge/index.php?lang_id=-&sec_id=98&info_id=27413).

[4] დამტკიცებულია საგარეო საქმეთა მინისტრის 04/12/2017 01-255 ბრძანებით

საქართველოს პარლამენტის აპარატი
საქმისწარმოების დეპარტამენტი
შემოს.№ 1-9269/24
"02" 09 2024 წ. ფურცლ. 10

განხორციელების და მათი დღის მნიშვნელობის ხაზგასმის მიზნით სასურველი იქნებოდა

- ⇨ დიასპორის დღის აღნიშვნა შესატყვის საკანონმდებლო აქტში - უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ საქართველოს კანონში (მიღებულია 24/11/2011-ს) - განხორციელებული ჩანაწერის საფუძვლად (მუხლის დამატება), რა დროსაც ამავდროულად განისაზღვრება საქართველოს მთავრობის (ან აღმასრულებელი ხელისუფლების შესატყვისი ორგანოების მითითებით) მიერ დიასპორის დღესთან დაკავშირებით ძირითად ღონისძიებათა გეგმის შემუშავების და განხორციელების ვალდებულებაც[5].

საკანონმდებლო წინადადების ავტორი/ ინიციატორი ნიკოლოზ ნიკოლაძე პ/ნ [redacted]
მობ.: [redacted] ელ. ფოსტა [redacted] მცხოვრები: [redacted]

31/08/2024



[5] დიასპორის დღე განსაზღვრულია უცხო ქვეყნის კანონმდებლობაშიც. მაგალითად - სერბეთის LAW ON DIASPORA AND SERBS IN THE REGION (Article 13) http://www.dijaspora.gov.rs/wp-content/uploads/2014/04/LAW-on-diaspora-and-Serbs-in-the-Region.pdf, საქართველოს მიერ არ აღიარებულ კოსოვოს LAW ON DIASPORA AND MIGRATION (Article 14) http://old.kuvendikosoves.org/common/docs/ligjet/Law%20on%20diaspora%20and%20migration.pdf საკანონმდებლო აქტებში

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №127

2007 წლის 22 თებერვალი

ქ. თბილისი

საქართველოში 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებისა და „ქართული დიასპორის დღის“ დაწესების შესახებ

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან, ქართულ დიასპორასთან ურთიერთობების გაღრმავების, მხარდაჭერისა და თანადგომის მიზნით:

1. მოწონებულ იქნეს საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტროს წინადადება და 2007 წელი გამოცხადდეს ქართული დიასპორის წლად.

2. ქართული დიასპორის დღედ დაწესდეს 27 მაისი.

3. საქართველოს მთავრობამ ერთ თვეში უზრუნველყოს 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებასთან დაკავშირებულ ღონისძიებათა გეგმის შემუშავება და დამტკიცება.

4. ბრძანებულება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

მ. სააკაშვილი

<u>საქართველოს მთავრობის განკარგულება N201</u>

საქართველოს მთავრობის განკარგულება N201
09 მაისი, 2007

საქართველოში 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებისა და ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილ ღონისძიებათა პროგრამის დამტკიცების შესახებ

1. „საქართველოში 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებისა და „ქართული დიასპორის დღის" დაწესების შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 22 თებერვლის N127 ბრძანებულების შესაბამისად დამტკიცდეს საქართველოში 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებისა და ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილ 25-28 მაისის ღონისძიებათა თანდართული პროგრამა.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ (ა. ალექსიშვილი) უზრუნველ-ყოს „საქართველოს 2007 წლის აახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების აამინისტროსათვის დამტკიცებულ ასიგნებათა ფარგლებში 171 000 (ას სამოცდათერთმეტი ათასი) ლარის გამოყოფა პროგრამით გათვალისწინებულ ღონისძიებათა დასაფინანსებლად.

3. საქართველოს ლტოლვილთა და განსახლების სამინისტრომ (გ. ხევიაშვილი) განკარგულების შესასრულებლად სახელმწიფო შესყიდვები განახორციელოს „სახელმწი-ფო შესყიდვების შესახებ" ააქართველოს კანონის მე-10 მუხლის მე-3 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის შესაბამისად.

პრემიერ-მინისტრი **ზურაბ ნოღაიდელი**

საქართველოს მთავრობის
2007 წლის 9 მაისის
N201 განკარგულების
დანართი

ააქართველოში 2007 წლის დიასპორის წლად გამოცხადებისა და ქართული დიასპორის დღისადმი მიძღვნილ 25-28 მაისის ღონისძიებათა პროგრამა

N ღონისძიების დასახელება ღონისძიების
გამართვის ადგილი ღონისძიების
გამართვის დრო
1 საერთაშორისო ფორუმის „საქართველო და დიასპორა" მონაწილე უცხოეთში მცხოვრები 120
ეთანამემამულის მიღება-მასპინძლობა მსოფლიოს 40 ქვეყნიდან თბილისი 25-28 მაისი
2 ფორუმის მონაწილეთა ჩართვა საქართველოს დამოუკიდებლობის დღისადმი მიძღვნილ
ღონისძიებებში თბილისი 26 მაისი
3 ფორუმის მონაწილეების მიღება საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქთან თბილისი, საქართველოს

ააპატრიარქო 26 მაისი
4 საერთაშორისო ფორუმი „საქართველო და დიასპორა" (150 დელეგატი, მათ შორის უცხოეთში მცხოვრები 120 თანამემამულე) თბილისი, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი" 27 მაისი
5 უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის შექმნილი საინფორმაციო საიტის www.diaspora.ge პრეზენ-ტაცია თბილისი, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი" 27 მაისი
6 საზღვარგარეთ ქართული დიასპორის ცხოვრების ამსახველი ფოტო-ვიდეო ექსპოზიცია სახელწოდებით „ჩვენი დიასპორა" თბილისი, სასტუმრო „ქორთიარდ მერიოტი" 27 მაისი
7 ფორუმის საიუბილეო ატრიბუტიკა, მოსაწვევები, ღონისძიებების პროგრამა, ლოგო, დროშები მაისი
8 ღონისძიებების ფოტო-ვიდეო გადაღება თბილისი 25-28 მაისი
9 საერთაშორისო ფორუმის „საქართველო და დიასპორა" ამსახველი ალმანახის მომზადება და ბეჭდვა (ტირაჟი 300 ცალი) ივნისი

© 2014 საქართველოს მთავრობა

შექმნილია ITDC-ში

საქართველოს მთავრობა

საქართველო

6063-01-2-202103121720

საგარეო საქმეთა სამინისტრო

№ 01/6063
12/03/2021

მოქალაქე **ნიკოლოზ ნიკოლაძეს**
[redacted]
ელ. ფოსტა: [redacted]

ბატონო ნიკოლოზ,

თქვენი 2021 წლის 2 თებერვლის განცხადების (რეგისტრაციის N3272/01) პასუხად, დანართის სახით გიგზავნით მოთხოვნილ ინფორმაციას.

დანართი: 17 (ჩვიდმეტი) გვერდი;

პატივისცემით,
ირაკლი ქოიავა

საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი
იურიდიულ საკითხთა და პარლამენტთან ურთიერთობის დეპარტამენტი

255-01-4-201712041156

საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№ 01-255; 04/12/2017 ქ. თბილისი

ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის
მქონე დიასპორის პროგრამის დამტკიცების შესახებ

,,საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ“' საქართველოს მთავრობის 2005 წლის 16 ნოემბრის N206 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-5 მუხლის პირველი პუნქტის ,,ა'' ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დამტკიცდეს „ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამა'' ამ ბრძანების დანართის შესაბამისად.
2. კონტროლი ბრძანების განხორციელებაზე დაევალოს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის მოადგილეს, ზვიად გონაძეს.
3. ეს ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

მიხეილ ჯანელიძე

დანართი

ერთიანი, ძლიერი, სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის მქონე დიასპორის პროგრამა

მუხლი1. პროგრამის მიზანი

პროგრამის მიზანია დიასპორის ერთიანობის, სიძლიერისა და სამშობლოსთან მჭიდრო კავშირის განვითარების უზრუნველყოფა.

მუხლი 2. პროგრამის ამოცანები

პროგრამის ამოცანებია:

ა)თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების საერთო ინტერესების განხორციელების ხელშეწყობა;

ბ) ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება;

გ) დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის ეფექტიანად წარმართვა;

დ) სახელმწიფო, არასამთავრობო, საერთაშორისო ორგანიზაციებთან და თანამემამულეთა ადგილსამყოფელ სახელმწიფოებთან მჭიდრო თანამშრომლობა.

მუხლი 3. პროგრამის აქტივობები

პროგრამის აქტივობებია:

ა) დიასპორის პრობლემების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის მექანიზმების ერთობლივად დასახვა;

ბ) დიასპორაში მიმდინარე მოვლენებისა და არსებული პროექტების შესახებ საზოგადოებაში ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა;

გ) დიასპორის შესახებ კვალიფიციური ანალიტიკური ინფორმაციის მოპოვებისა და არსებულ პრობლემათა გადაჭრის ინოვაციური მიდგომების დანერგვის მიზნით დიასპორის საკითხებზე სამეცნიერო მუშაობის ხელშეწყობა;

დ) რეგულარული შეხვედრები დიასპორის წარმომადგენლებთან;

ე) თანამემამულეებისათვის სახელმწიფო პროგრამებისა და პროექტების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და დიასპორასთან დაკავშირებული საკითხებზე მათი ჩართულობის უზრუნველყოფა;

ვ) დიასპორული ორგანიზაციების მხარდაჭერა, მათი საქმიანობის გასააქტიურებლად, როგორც ორგანიზაციულად – დიასპორის წევრებს შორის, ისე საერთაშორისო დონეზე;

ზ) საზღვარგარეთ თანამემამულეთა დარგობრივი გაერთიანებების ჩამოყალიბების ხელშეწყობა და საქართველოს შესაბამის უწყებებთან მათი დაკავშირება;

თ) ფორუმებისა და კონფერენციების ორგანიზება, რომელიც ხელს შეუწყობს საზღვარგარეთ მიღებული ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების გზით სხვადასხვა სფეროში ახალი იდეების გაჩენასა და ინოვაციური მიდგომების დანერგვას;

ი) ადგილსამყოფელ ქვეყნებში დიასპორული სპორტული და ინტელექტუალური თამაშების ორგანიზების გზით დიასპორაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და ქართველებს შორის ურთიერთობათა ინტენსიფიკაციის ხელშეწყობა;

კ) თანამემამულეთა ინტერესებისა და უფლებების დაცვა;

ლ) ეროვნული იდენტობისა და კულტურული თვითმყოფადობის შენარჩუნება;

მ) დიასპორული ორგანიზაციების საქმიანობის ხელშეწყობა.

მუხლი 4. პროგრამით განსახორციელებლი ღონისძიებები

პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელ ღონისძიებებს განეკუთვნება:

ა) დიასპორის წარმომადგენლებისათვის „ცხელი ხაზის“ ამოქმედება, რომლის დახმარებითაც მოხდება პრობლემური საკითხების იდენტიფიცირება და მათი გადაჭრის გზების მოძიება;

ბ) საზღვარგარეთ დიასპორის წარმომადგენლებისათვის სამედიცინო აქციები, ექიმების ჯგუფის გაგზავნა, უფასო სამედიცინო კონსულტაციები და მკურნალობის ხელშეწყობა;

გ)თანამემამულეებისათვის მშობლიურ ენაზე იურიდიული კონსულტაციის გაწევა;

დ) თანამემამულეებისათვის ადგილსამყოფელ ქვეყნებში მიგრანტებისათვის საჭირო ინფორმაცის მიწოდება;

ე) ადგილსამყოფელ ქვეყნებში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე თანამემამულეების საქმიანობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა;

ვ) ადგილსამყოფელი ქვეყნის განვითარებაში ქართული დიასპორის მიერ შეტანილი წვლილის წარმოჩენა და დაფასება;

ზ) საკვირაო სკოლების საქმიანობის მატერიალურ-ტექნიკური და იდეური მხარდაჭერა;

თ) ქართული ენის, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის შესწავლის ხელშეწყობა;

ი) საკვირაო და ქართულენოვან ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მოსწავლეებს შორის ქართული ენის ოლიმპიადის ორგანიზება და გამარჯვებულების საქართველოში მოგზაურობით დაჯილდოება;

კ) საკვირაო და ქართულენოვან სკოლებში პედაგოგთა პროფესიული მომზადებისა და გადამზადების პროგრამების ორგანიზება, სერტიფიცირებისთვის აუცილებელი კურიკულუმებისა და პროგრამების მომზადება, პედაგოგთა პროგრამებში მონაწილეობის ხელშეწყობა;

ლ) უცხოეთში არსებული ქართული ცეკვისა და სიმღერის ანსამბლების მხარდაჭერა;

მ) საქართველოს და ქართული კულტურის პოპულარიზაციაში თანამემამულეთა ჩართულობის უზრუნველსაყოფად, კულტურის სფეროში მოღვაწე თანამემამულეების მხარდაჭერა;

ნ) საზღვარგარეთ მცხოვრები ხელოვანების ნამუშევრების პოპულარიზაცია საქართველოში;

ო) საქართველოში მოქმედი თეატრალური დასების, ფოლკლორული და საესტრადო ანსამბლებისა და ცალკეული მუსიკოსების გასტროლების ხელშეწყობა დიასპორის ადგილსამყოფელ ქვეყნებში.

პ) თანამემამულეებისა და დიასპორული ორგანიზაციების შესახებ პერიოდულად განახლებადი ელექტრონული ბაზის შექმნა და სრულყოფა;

ჟ) დიასპორული ორგანიზაციების შესახებ სანდო და აქტუალური ინფორმაციის მოპოვება;

რ) დიასპორულ ორგანიზაციებთან და დიასპორის წარმომადგენლებთან ეფექტიანი კომუნიკაციის დამყარება;

ს) დიასპორული ორგანიზაციების მატერიალურ-ტექნიკური მხარდაჭერა;

ტ) ტრენინგების ორგანიზება დიასპორული ორგანიზაციების მართვის ეფექტიანობის ასამაღლებლად;

უ) დიასპორულ ორგანიზაციებს შორის თანამშრომლობის ხარისხის გაუმჯობესების ხელშეწყობა.

ფ) დიასპორის საკითხებზე მომუშავე დიპლომატებისთვის სპეციალიზებული ტრენინგების ჩატარება;

ქ) საზღვარგარეთ მცხოვრები თანამემამულეების და დიასპორული ორგანიზაციების ელექტრონული ბაზის შექმნა და მუდმივი განახლება;

ღ) თანამემამულეებისათვის ერთიანი საინფორმაციო-საკომუნიკაციო სივრცის ვებპორტალის აპლიკაციის შექმნა და მისი მეშვეობით მზარდი ინფორმაციული ნაკადის ერთმანეთში გაცვლის ხელშეწყობა;

ყ) დიასპორული პროექტებისა და თანამემამულეებისათვის არსებული სახელმწიფო სერვისების შესახებ ინფორმაციის ხელმისაწვდომობის პროაქტიულად უზრუნველყოფა;

შ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე მეცნიერების, საქართველოს სამეცნიერო სივრცის განვითარებაში ჩართულობის ხელშეწყობა;

ჩ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეებისათვის საქართველოს ეკონომიკაში მიმდინარე პროცესების შესახებ ინფორმაციის რეგულარულად მიწოდება;

ც) დიასპორის ჩართულობის ზრდა საქართველოს საინვესტიციო გარემოს პოპულარიზაციაში, ტურისტული პოტენციალის რეკლამირებაში და ქართული პროდუქციის ადგილსამყოფელ ქვეყანაში ექსპორტის წახალისებაში;

ძ) უცხოეთში მცხოვრები თანამემამულე ბიზნესმენების მიერ საქართველოს ეკონომიკაში ინვესტიციების დაბანდების, აგრეთვე, მათი დახმარებით პირდაპირი უცხოური ინვესტიციების მოზიდვა და საერთაშორისო ბიზნესწრეებში საქართველოში არსებული საინვესტიციო შესაძლებლობების პოპულარიზაციაში დიასპორის აქტიური ჩართულობის ხელშეწყობა;

წ) ახალგაზრდა თაობის პოტენციალის რეალიზების, სამშობლოში მიმდინარე პროცესებსა და საქართველოს პოპულარიზაციაში აქტიური ჩართულობის მიზნით, „ახალგაზრდა ელჩების“ პროგრამის არეალის გაფართოება;

ჭ) სამშობლოში ახალგაზრდა, კვალიფიციური კადრების მოზიდვისა და მათი გამოცდილების გაზიარების მიზნით, დიასპორული სტაჟირების პროგრამის გაფართოება;

ხ) სახალხო დიპლომატიის მექანიზმის აქტიური ამოქმედებისათვის ხალხთაშორისი მეგობრობის პროგრამების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა;

ჯ) უცხოეთში სხვადასხვა სფეროში მოღვაწე თანამემამულეებისა და უცხოელი მეგობრების მიღწევებისა და საქართველოს მიმართ გაწეული ღვაწლის აღიარების, დაფასებისა და ქვეყნისათვის სასარგებლო საქმიანობის გაგრძელების დამატებითი მოტივაციისათვის დიასპორის წარმომადგენლების და საქართველოს უცხოელი მეგობრების დაჯილდოება;

ჰ) ყოველწლიური, სპორტული, დიასპორული ,,ოლიმპიადის'' ორგანიზება საქართველოში;

ჰ[1]) დიასპორული ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა;

ჰ[2]) ქართული დიასპორის დღის -27 მაისის აღნიშვნა;

ჰ[3]) საქართველოში მოქმედი სარეინტეგრაციო პროგრამების შესახებ ინფორმაციის აქტიურად მიწოდება;

ჰ[4]) ახალი სარეინტეგრაციო პროგრამების დანერგვა და განვითარების ხელშეწყობა.